პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

პარასკევი, 27 ივნისი 1924 წ.

წელიწად~ მეთხე

ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი არმიელი

№ 534 ქ. მ. ლ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც' ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე


## ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

1 ივლისიდან ჩვენი გაზეთი „წითელი არმიელი" ეღირება №--3 კაპ., თვიურად 70 კაპ.

წითელ-არმიელთათვის ნაწილში ან სოფელში მიწოდებით 50 კაპ.

**გაზეთ „წითელ-არმიელის" კანტორა.**

## სპორტი ქართულ წითელ ჯარში.

სპორტი საუკეთესო საშვალება ჩვენი წითელ არმიის გაჯანსაღებისა და ჯანმრთელობის საქმეში. ფიზიკური კულტურა დიდ დახმარებას უწევს სამხედრო საქმეს ახალგაზრდა წითელ არმიელის სათანადოთ გაწვრთნაში. თანამედროვე საომარი ტეხნიკა მოითხოვს ჯარის კაცისაგან არაჩვეულებრივ სიმარდეს, სისწრაფეს მოქმედებებში.

სიცოცხლეს მოკლებული, ზანტი, აუჩქარებელი ჯარისკაცი ცუდი მეომარია. სპორტი ანვითარებს ადამიანში ენერგიას, სიცოცხლეს და ნების ყოფას. ყოველივე ეს მეტად საჭიროა ჩვენი წითელ არმიისათვის.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში დიდათ განვითარებულია სხვა და სხვა სახის სპორტი. დიდის ნაყოფით ის გავრცელებულია აგრეთვე იმპერიალისტურ ჯარებშიც.

მაგრამ სპორტი ისე როგორც კულტურის სხვა დარგებიც ბურჟუაზიამ გამოიყენა თავისი კლასიური მიზნებისათვის. ის სპორტის გავრცელებას ხელს უწყობს, როგორც გასართობ საშუალებას, როგორც იარაღს, რომელიც ერთის მხრივ აშორებს მუშებს პოლიტიკას და მეორეს მხრივ, როგორც ერთ-ერთ საშვალებას აჯანყებულ პროლეტარების წინააღმდეგ მიმართულს.

ჩვენთვის კი ფიზიკურ კულტურას სულ სხვა მნიშვნელობა აქვს. ის ჩვენ მიგვაჩნია არა როგორც გასართობის და თამაშის საქმე, არამედ მშრომელთა ფიზიკური გაჯანსაღების უებარ საშვალებათ.

სპორტი ბურჟუაზიამ გადააქცია პროფესიათ, გამოაცალა მას მისი იდეური შინაარსი და დაუმორჩილა ის თავის ვაჭრულ მიზნებს.

ჩვენი მიზანია ფიზიკურ კულტურას კვლავ დაუბრუნოთ მისი იდეური სახე, და შევქმნათ მისგან საუკეთესო იარაღი მშრომელთა ხალხის ფიზიკური ჯანმრთელობის განმტკიცებისა.

ფიზიკურ კულტურას წითელ ჯარშიც ფართოდ უნდა გაეღოს კარები. ჩვენი მოძმე რუს წითელ-არმიაში მას მეტად ეტანებიან და დიდ ყურადღებასაც აქცევენ. სპორტის სხვა და სხვა სახეები ჩვენ ქართულ ჯარის ნაწილებშიც არის. მაგრამ საჭირო მატერიალურ ბაზას მოკლებული ფიზკულტურა ვერ არის სათანადო დონეზე დაყენებული.

ამას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. საჭიროა ენერგიული პროპაგანდა ფიზიკურ კულტურის, ახალგაზრდა წითელ-არმიელთა შორის და მათი ამ საქმეში ფართოდ ჩაბმა.

ამით ჩვენ მეტის ნაყოფიერობით ვაწარმოებთ ახალ წითელ-მოლაშქრეებში სამხედრო გაწვრთნას და აღზრდას.

**ფართე გზა ფიზკულტურას ჩვენს წითელ ჯარში!**

**მეტი ყურადღება მას!**

## ინგლის--საბჭოთა კონფერენცია

**ამხ. რაკოვსკის თათბირი პონსონბისთან**

რეიტერის საგენტოს ცნობით ამხ. რაკოვსკის ჰქონდა თათბირი საგარეო საქმეთა მინისტრ პონსონბისთან. როგორც სჩანს, რაკოვსკიმ გააცნო მას მოლაპარაკების მსვლელობა რუსეთის ფასიანი ქაღალდების მეპატრონეებთან.

**იოფფე საბჭ. დელეგაციის წევრია ინგლისში.**

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იაპონიაში, ამხ. იოფფე დანიშნულია სსრკ-ს დელეგაციის წევრად ინგლისში.

## ჩვენ და ისინი

**რუსეთ-დანიის საზოგადოება.**

შესდგა რუსეთ-დანიის საზოგადოების პირველი სხდომა, სსრკ-ს ცნობის აღსანიშნავად. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა გეინმა მადლობა გამოუცხადა საზოგადოების წევრებს მათი მუშაობისათვის დანიისა და სსრკ-ს დაახლოვების საქმეში.

**ავსტრიის ელჩი სსრკ—ში.**

ავსტრიის რწმუნებულს მოსკოვში—ოტტო პოლს ეწოდა ელჩი.

## ჩინეთ-საბჭოთა შეთანხმების გარშემო

**ჩინეთი გამოდის დამოუკიდებლობის გზაზე.**

პეკინში შესდგა „სახალხო დიპლომატიის" საზოგადოების მიტინგი რომელშიაც მონაწილეობდენ სენატისა და პარლამენტის მრავალი წევრი.

მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ უცხოეთის დიპლომატიური კორპუსი თავის ნებით არღვევს ჩინეთის სუვერენულ უფლებებს, რუსეთის საელჩოს შენობის დაკავებით. პარლამენტს წინადადება ეძლევა გააბათილოს ყველა ხელშეკრულება, რომლებიც ძალით მიაღებიეს ჩინეთს.

## კიდევ პუანკარე.

„ესტ ეროპ"-ის საგენტოს ცნობით საფრანგეთის მიერ სსრკ-ს ცნობის საკითხი საერთო სახით იქნა განხილული ერიოსა და მაკდონალდის სხდომაზე. როგორც ირკვევა პუანკარემ პირობაში შეეკრა იუზს, რომლის ძალითაც საფრანგეთს არ უნდა შეეცვალა თავისი პოლიტიკა სსრკ-ს მიმართ, თუ წინასწარ არ შეუთანხმდება ამ საკითხში ამერიკას. ერიო თითქოს გაეცნო ამ შეთანხმებას ძალა-უფლების ხელში აღების შემდეგ, რითაც აიხსნება მის მიერ თავის შეკავება რუსეთის საკითხში.

## მაკდონალდი გლაზგოში.

მაკდონალდი გაემგზავრება გლაზგოში, რომლის საპატიო მოქალაქეთაც ის არის არჩეული.

## მაკდონალდის სიტყვა.

გლაზგოდან მიღებულ ცნობით, მაკდონალდმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ მან ყოველი ღონისძიება იხმარა იმისთვის, რათა გამსჭვალულიყო მოკავშირეთა განწყობილებით რათა აღედგინა ხანგრძლივი მშვიდობიანობა.

მან განაცხადა: „მიუხედავად ყოველგვარ გამოლაშქრებისა, მე შემიძლია დავამტკიცო, რომ მუშათა მთავრობამ ყოველგვარი ღონისძიება იხმარა ინგლისის ნაციის ინტერესთა დასაცავად".

დასასრულ მაკდონალდმა განაცხადა, რომ მას იმედი აქვს გარდაქმნას ევროპა ახალ „სასულიერო სახელმწიფოდ", სადაც დამყარებული იქნება ნამდვილი მჭიდრო კავშირი ცალკე ეროვნებათა შორის.

## კომინტერნის მეხუთე კონგრესი

**24 ივნისის საღამოს სხდომის მოკლე ანგარიში.**

**მიულერის სიტყვა.**

ახალგაზრდათა კომინტერნის სახელით მიულლერმა განაცხადა, რომ კონგრესის მთავარ ამოცანას შეადგენს ბრძოლა მარჯვენა გადახრის წინააღმდეგ.

რადეკის მიერ სოციალ-დემოკრატების შეფასება, რომ ის არის მუშათა პარტიაო—არ არის სწორი. სოციალ-დემოკრატია ბოლომდის დარჩება ბურჟუაზიის მოკავშირეთ და კიდევ მეტი,—მისგან განვითარდება ფაშიზმის ფრთა.

რაც შეეხება რკპ-ს დისკუსიას, კომინტერნმა ერთხმად უნდა მიემხროს რკპ-ს ცეკას ხაზს.



კომინტერნის მეხუთე კონგრესის წევრი **ამხ. კუუსინენი.** (ფინეთიდან).

**რიენცის სიტყვა.**

იტალიის კომპარტიის უმცირესობის სახელით რიენცი სავსებით იწონებს ზინოვიევის ანგარიშს და აღნიშნავს, რომ უმცირესობა სცდილობს იტალიის კომპარტიის გაერთიანებას, ფრაქციული ბრძოლის მოსპობას პარტიაში და მთლიანი კომპარტიის შექმნას.

რიენცის სიტყვის შემდეგ გამოდის უკრაინის ბოგანო გლეხობის დელეგაცია, რომელიც გადასცემს გერმანიის კომპარტიას წითელ დროშას. მთელი კონგრესი ესალმება დელეგაციას ინტერნაციონალის სიმღერით.

**ამხ. ბრაუნის სიტყვა.**

ამხ. ბრაუნი გერმანიის დელეგაციის სახელით იბარებს დროშას. თავმჯდომარე, ამხ. კოლაროვი კონგრესის სახელით ესალმება უკრაინის ბოგანო გლეხობას.

კონგრესი აგრძელებს კამათს.

ამხ. ბრაუნი აღნიშნავს, რომ ბულგარეთის კომპარტია შეცდა რადგანაც არ აწარმოვა გადამჭრელი ბრძოლა ცანკოვის გადატრიალების დროს, მაგრამ გამოიყენა ეს გაკვეთილი და განაგრძო ბრძოლა, რამაც საგრძნობლად გააძლიერა პარტიის ავტორიტეტი. რადეკსა და ბრანდლერს არ სურთ ისწავლონ, არამედ განაგრძობენ თავიანთ შემცდარი პოლიტიკის დაცვას

ბრანდლერის აზრი, რომ ოქტომბრის დამარცხება ტეხნიკური თვისებისაა— დიდი ოპორტუნიზმია. კუნოს დროს მომხდარ გაფიცვების დროს მასებმა პარტიას გაუსწრეს. პროლეტარიატმა ძირს ჩამოაგდო კუნო, როცა პარტია კიდევ რყევაში იყო. ბრანდლერის მტკიცება, რომ პროლეტარიატი არ იყო მზად ბრძოლისთვისო, არ არის მართალი.

ტალგეიმერის მტკიცებაც ძველი გვარდიის როლის შესახებ არ არის მართალი: კაუცკის და პლეხანოვს დიდი დამსახურება ჰქონდათ, მაგრამ ბოლოს მოღალატეებად გამოდგენ. კუუსინენის წინადადებით კონგრესმა პროტესტი განაცხადა ფინეთის 89 რევოლიუციონეროა გასამართლების წინააღმდეგ და მიესალმა რევოლიუციონრებს.

**ამხ. ბუხარინის სიტყვა.**

ამხ. ბუხარინი აღნიშნავს რომ გერმანიის საკითხი დღეს არ არსებობს, ვინაიდან სიტუაცია დღეს არ არის ისეთი რევოლიუციონური, როგორც ოქტომბერში იყო. მთავარი საკითხია მხოლოდ ფრონტის ტაქტიკა.

მუშათა მთავრობის შესახებ ამხ. ბუხარინმა აღნიშნა, რომ პროლეტარიატის დიქტატურამ შეიძლება მიიღოს სხვა და სხვა ფორმა, რასაც მოწმობს რუსეთის და უნგრეთის მაგალითები. რკპ შევიდა კოალიციაში მემარცხენე ესერებთან, მაგრამ განაგრძო მასიურ ორგანიზაციების განმტკიცება, რაც ვერ მოასწრო უნგრეთის კომპარტიამ.

რადეკმა აღიარა თავისი შეცდომა იმაში, რომ ერთიანი ფრონტი არ სწარმოებდა ქვემოდან და არ იყო შექმნილი მასიური ორგანიზაციები. ბრანდლერს გაავიწყდა, მთავარი რომ მასიური ორგანიზაციებია, ტეხნიკური მხარე კი მეორე ხარისხოვანი.

გერმანიის კომპარტიის ხელმძღვანელი ნაწილი დაშორდა პარტიულ მასებს, რაიც შეიქნა დამარცხების მთავარი მიზეზი. კომინტერნის ცალ-

კე სექციების კრიზისი გამოწვეულია ნაწილობრივ დამარცხებით, მაგრამ იმავე დროს ძლიერდება ბოლშევიკური პარტიების განვითარება. გადახრების წინაალმდეგ ბრძოლაში მტკიცდება ბოლშევიზმი და ძლიერდება ლენინის თვალსაზრისი.

## 25 ივნისის დილის სხდომა.

### ამხ. ვაინკოპის სიტყვა.

ამხ. ვაინკოპი (ჰოლანდიის კომპარტ. წარმომადგენელი) ეხება კაპიტალიზმის განმტკიცების პერიოდს და ამბობს: „გერმანიისა და ბალკანეთის დიდი კრიზისი მოელის. კომპარტიამ უნდა ემზადოს ბრძოლისთვის. აღმასკომმა უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება ინგლისსა და კოლონიალურ საკითხს.

### ამხ. ხეგლუნდის სიტყვა.

ამხ. ხეგლუნდი (შვეიც. წარმომ). აცხადებს, რომ ის არ უჭერდა მხარს ნორვეგიის ოპორტიუნისტ ლიანს და არ იცავდა ტრანმელის ჯგუფს, არამედ წინაალმდეგი იყო განხეთქილების. დღეს ის ხედავს, რომ ტრანმელი თან და თან შორდება კომინტერნს. ამხ. ხეგლუნდი გათავებულად სთვლის შვეციის კომპარტიის კონფლიქტს კომინტერნის აღმასკომთან.

ბოლოს ამხ. ხეგლუნდი აღნიშნავს, რომ ბრალდება ოპორტიუნიზმში ადვილად შეიძლება აიტანო, ვინაიდან ამ ცოდვაში ბევრ კარგს კომუნისტს ედება ბრალი. საფრთხე მდგომარეობს იმაში, რომ მეტად ბევრს ლაპარაკობენ ოპორტიუნიზმზე.

### ამხ. კუუსინენის სიტყვა:

ამხ. კუუსინენი (ფინეთის წარმომადგენელი) ამბობს, რომ დასავლეთ ევროპის პარტიების უმთავრესი ამოცანა არის შეისწავლოს რუსეთის რევოლიუციის გამოცდილება და შექმნას მსოფლიო მტკიცე პარტია. გერმანიის ძველი ცეკა გაცილებით უშლიდა ხელს მასიურ ბრძოლებს, ვინემ გენერალი სექტი. დღევანდელმა ცეკამ უფრო საბრძოლო ხასიათი მისცა კომპარტიას.

შემდეგ კუუსინენი ეხება ნორვეგიის კომპარტიას და ამბობს, რომ ეს პარტია საბოტაჟს უცხადებდა რევოლიუციონურ განვითარებას, რისთვისაც აუცილებელი შეიქნა განხეთქილება. კუუსინენი ამტკიცებს, რომ ხეგლუნდი იცავდა ოპორტიუნისტებს და აქებდა კიდეც დანიის სოციალ დემოკრატებს. ხეგნუნდი, რომელიც მოითხოვს უმცირესობისაგან დისციპლინას, თვით უნდა დაემორჩილოს მას აღმასკომის წინაშე.

### ამხ. დენგელის სიტყვა.

ამხ. დენგელი (გერმ. წარმ.) მნიშვნელოვანად სთვლის, რომ მემარჯვენეები იწონებენ ამხ. ვარგას დიპლომატიურ თეზისებს. ყოველ თეზისში გამოსჭვივის მარჯვენა გადახრა. ამხ. ვარგას აზრით კაპიტალიზმი შესძლებს დღევანდელი კრიზისის დაძლევას. ეს არ არის მართალი. ამხ, ვარგას თეზისებში პაციფისტურ იდეოლოგიური გადახრა გამოსჭვივის. კონგრესმა უნდა შეასწოროს ამხ. ვარგას პერსპექტივები ლენინის სიტყვებით, რომ ჩვენ განვიცდით ომებისა და რევოლიუციის პერიოდს.

## იტალია.

### მუსოლინის სიტყვა სენატში.

25 ივნისს სენატში გამოვიდა მუსოლინი, რომელმაც მთავარი ყურადღება მიაქცია ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობას. მთავარი დამნაშავენი—განაცხადა მან—დაპატიმრებულია, თუ საჭირო იქნება, დაჭერილ იქნება შემჩნეული პირები, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი მდგომარეობისა. ამ ბოროტ მოქმედებამ არ უნდა შებღალოს იტალიის ღირსება და პატივი.

შემდეგ მუსოლინმა განაცხადა, რომ მთავრობის მოქმედება მიმართულია ფაშიზმის განმტკიცებისა და მისი საკონსტიტუციო კანონმდებლობის ფარგლებში შესვლისაკენ, რათა გახადოს ფაშიზმი ნაციონალურ მშვიდობიანობის წყაროდ. მთავრობის ასეთი მოქმედება შეწყვეტილ იქნა მატეოტის ტრაგიულ შემთხვევით.

ბოლოს მუსოლინმა განაცხადა, რომ მას არ სურს დარჩეს ძალაუფლების სათავეში, რომელმაც მას ბევრი სიმწარე მიანიჭა, მაგრამ დღეს მისი გიდადგომა ეს იქნებოდა დეზერტირობა იმ დროს, როცა ქვეყანა განიცდის ასეთ მდგომარეობას.

## მთავრობის ტერორი ბულგარეთში

ბულგარეთში თანდათან იზრდება პეტკოვის მკვლელობის გამო გამოწვეული მღელვარება. საზოგადოებრივ წრეების მღელვარების გამო, რომ მკვლელობაში მონაწილეა პოლიცია, ადმინისტრაცია იძულებული გახდა დაეთხოვა პოლიციის რაზმის უფროსი ჩუმედჟიევი.

ოპოზიციონერები აცხადებენ, რომ ბულგარეთის პოზიციაში მსახურობს ტერორისტების ჯგუფი, რომელთაც დავალებული აქვთ მკვლელობა მთავრობისთვის საშიში პირების.

ნაციონალურ კრების სხდომაზე კომუნისტ დეპუტატმა სტრაშიმირმა განაცხადა, რომ მას აქვს საბუთები მთავრობის მონაწილეობის შესახებ პეტკოვის მკვლელობაში. სტრაშიმირს აუკრძალეს 3 სხდომაზე დასწრება. ოპოზიციამ დასტოვა დარბაზი. შემდეგ სხდომაზე კომუნისტ დეპუტატმა ტარასმატოვმა განაცხადა, რომ მთავრობის დეპუტატებმა დაემუქრეს მას პეტკოვის ბედით.

## ალბანეთში.

ალბანეთის მთავრობის თავმჯდომარე, ერთა ლიგისადმი გაგზავნილ წერილში აცხადებს, რომ ალბანეთში შემოღებულ იქნება დემოკრატიული რეჟიმი. სახელმწიფოებთან ალბანეთი დაიჭერს მეგობრულ კავშირს.

## გერმანიაში

### ხელჩართული ბრძოლა გერმანიის რეიხსტაგში.

#### კომუნისტების პროტესტი ცარიელი ამნისტიის წინაალმდეგ

რეიხსტაგის სხდომაზე ამნისტიის საკითხის გარჩევის დროს ტევტონთა პარტიის წევრმა როტმა განაცხადა, რომ „ტყვია, რომელმაც გაანადგურა ცნობ. გერმანიის კომუნისტი ლევინე,—სამართლიანი იყო“—ამ განცხადებამ აღაშფოთა კომუნისტები და დაუშინეს მას სამელნეები და პაპკები. თავმჯდომარემ მეტად გააძლიერა აღშფოთება, რადგანაც მან მოუწოდა წესრიგისაკენ მხოლოდ კომუნისტებს. შემდეგ გაიმართა ხელჩართული ბრძოლა კომუნისტებსა და ტევტონელებს შორის, რასაც მოჰყვა სხდომის დახურვა.

სხდომის განახლების შემდეგ კომუნისტ ეიხორნმა გამოაცხადა კომპარტიის საპროტესტო დეკლარაცია და აღნიშნა, რომ ამნისტია მიენიჭება მხოლოდ უკიდურეს მემარჯვენეებს ვინაიდან აქ არის სოციალ-დემოკრატების და მემარჯვენეთა გაერთიანებული ფრონტიო.

## ქიმიურ თავდაცვის მეგობართა საზოგადოების მუშაობა წითელ ჯარში.

გაზეთ „ზარია ვოსტოკ“-ის № 608 მე ვწერდი ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერატიულ სოციალისტურ რესპუბლიკის ქიმიურ თავდაცვის მეგობართა საზოგადოების ამოცანებზე და ორგანიზაციაზე.

მუშურ-გლეხურ წითელ ჯარს არ შეუძლია ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხში განზე იდგეს.

### აირი-მომავალი ომების იარაღია.

მომწამვლელი ნივთიერებათა დიდი ნაწილის ხმარება შემოღებულია იმპერიალისტურ ომის დროს. ჩვენი ჟურნალის „კრაზნი ბოეც“-ის უკანასკნელ ნომერში ამხანაგებს შეუძლიათ გაეცნონ ამხ. ბატაშევის წერილს, რომელსაც აწერილი აქვს მხუთარი აირების ხმარების შემოღების პირველი მაგალითი. მე ამ დროს ვიყავი მის მეზობლად მდებარე რაიონში და მოვიყვან აქ ზოგიერთ მაგალითებს ციფრების საშუალებით, თუ რა შედეგებს მიაღწიეს გერმანელებმა აირით შეტევის დროს მე 14 სიბირის მსროლელ დივიზიის წინაალმდეგ, მდინარე ბზურის ჩრდილოეთით, სოფელ გუმინში, 18 მაიის 1915 წ. აირით შეტევის დღეს დივიზიაში ითვლებოდა 14.000 მსროლელი. მათ რიგებს მოაკლდა 6000 კაცი, ე. ი. მთელი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, მათ რიცხვში 3000-ზე მეტი დარჩა ბრძოლის ველზე, დანარჩენი აირით მოწამლული გაიგზავნა ზურგში, თუ რა ბედი ეწვია ამ უკანასკნელთ არ ვიცი, მაგრამ იყო ცნობები, რომ ბევრი მათგანი ვარშავაში (ეხლანდელი პოლონეთის სატახტო ქალაქი) ჩასვლამდე დაიხოცა.

რიგში დარჩენილ მსუბუქად მოწამლულთ მე არ ვთვლი. დივიზიის პოზიციის ზურგს უკან რიგებათ ეწყო აირის მსხვერპლთა გვამები. მე შემრჩა ფოტოგრაფიული სურათები, რომელთაც ქვემოთ ვათავსებთ. სურათი მეტად შემაძრწუნებელია, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ შეტევა ჩვენთვის მოულოდნელად მოხდა და არ გვქონდა აირისაგან თავდაცვის არავითარი საშუალება.



ბრძოლის ველზე აირით (გაზით) მოწამლული.

ეს იყო პირველი შემთხვევა.

ეხლა კი კაპიტალისტურ დასავლეთ ევროპამ და ამერიკამ უფრო ძლიერ და საშიშ მხუთარ ნივთიერებათა დამზადების საქმეში დიდ შედეგებს მიაღწიეს. და ისინი ისარგებლებენ ამით არა მარტო მიწიდან (აირის ბალონიან შეტევა და სროლა ქიმიური ყუმბარებით), არამედ ჰაერიდანაც ძლიერი მოწამლული ყუმბარების ჩამოგდებით.

### მზათ ვიყოთ თავდაცვისათვის.

ცხადია, თუ რა უსაშინელეს საფრთხეს წარმოადგენს ომის ეს ახალი იარაღი, რომლის ხმარება ჯერ კიდევ ჩვენ ვერ შეგვისწავლია და ეს უქადის საფრთხეს არა მარტო იმათ, ვინც პირდაპირ მონაწილეობას ღებულობს ბრძოლაში, არამედ ჯარის ზურგსაც, და დაუცველ ქალაქებს, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფოს სასრსებო ცენტრებს. ცხადია, რომ საბჭოთა კავშირი, რომელიც გარს შემორტყმულია კაპიტალისტური ქვეყნებით, მუდამ მზად უნდა იყოს ამ საფრთხის შესახვედრად, უნდა გამოძებნოს თავის დასაცველი საშუალება მის წინაალმდეგ, უნდა შეისწავლოს მისი ხმარება, უნდა შეისწავლოს თვით იარაღის ხმარებაც, რადგან ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ჯარებთა შორის უიარაღოთ ბრძოლა, და მარტო ჯოხებით შეიარაღებული ჯარი უსათუოდ, წინასწარ შეიძლება ამის თქმა, დამარცხდება.

**რამდანათ ჩვენ მომზადებული ვიქნებით მტრის შესახვედრად—იმდენათ ნაკლები საფრთხე იქნება.**

და პირველ რიგში მხუთარი ნივთიერებისაგან თავდასაცველი საშუალებანი და მათი სარგებლობა უნდა იცოდეს წითელ ჯარმა. ჩვენ ვიცით რომ დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ მთელი რიგი სახელმწიფოების მიერ საბჭოთა კავშირის ცნობა არ ამცირებს მათ მიერ თავდასხმის საფრთხეს ჩვენზე.

ჩვენ ვიცით, რომ იტალია, ინგლისი და საფრანგეთი იძულებულნი იყვნენ ვეცნეთ ჩვენ, რადგან უჩვენოთ ისინი ვერ შესძლებენ მსოფლიო ომის მიერ დანგრეულ მეურნეობის აღდგენას. მაგრამ ამასთან ჩვენ ისიც ვიცით, რომ შინაურ უთანხმოება, რომელიც არსებობს მათ და საბჭოთა კავშირის შორის, გვყოფს ჩვენ ორ მტრულად განწყობილ ბანაკად, და რანაირადაც არ უნდა ვისწრაფოდეთ ჩვენ მტკიცე მშვიდობიანობის და მეგობრულ დამოკიდებულების აღსადგენად, საფრთხე მაინც რჩება ძალაში, და ჩვენ ამ საფრთხეს არ უნდა ავარიდოთ თვალი და მუდამ მზად უნდა ვიყოთ თავდასხმის მოსაგერიებლად. იქვი არ გვეპარება იმაში, რომ ბურჟუაზიული მთავრობის შემთანხმებლები, როდესაც ხელს გვიწვდიან მაშინაც კი არ იშორებენ იმ აზრს, რომ დაახრჩონ მთელს დედა-მიწის ზურგზე პირველი მუშურ-გლეხურ მთავრობა, რადგან ისინი გრძნობენ, რომ არ არის შორს ის საათი, როცა მე-3-მე კომუნისტური ინტერნაციონალი და საერთაშორისო გლეხთა კავშირი აღმოფხვრიან იმ საფუძვლებს, რომლებიც ძირს უმაგრებენ კაპიტალს.

შეიძლება შეუცდომლად ითქვას, რომ კაპიტალისტური ევროპა, ამერიკა და იაპონია არ გაუშვებენ არც ერთ ჩვენს დაუდევრობას; და განსაკუთრებით ყველაზე უფრო დიდი დაუდევრობას, როგორიც კი შეიძლება იყოს, ეს არის მშვიდობიანი განწყობილებით გატაცება, რომელიც უდრის მოსალოდნელ საფრთხის დავიწყებას. შეიძლება შეუცდომლად ითქვას, რომ მტრები თავდასხმის დროს არ შეჩერდეიან არავითარ საშუალების წინაშე და მათ შორის მხუთარი ნივთიერებათა გამოყენებითაც კი ისარგებლებენ და ამას ისინი არ მალავენ და აშკარად ლაპარაკობენ.

შეგვიძლია თუ არა ჩვენ ამ პირობებში არ ვემზადოთ ისე თავდაცვისათვის, რომ შევიძლოთ იმავე საშუალებებით მტრის პასუხის გაცემა?

**რასაკვირველია არა. და რამდენად ჩვენ კარგათ ვიქნებ თ მომზადებული, იმდენად ნაკლები იქნება ომის საშიშროება.** ამის გამო არ უნდა იყოს არც ერთი წითელი არმიელი, რომელიც არ იქნება გაცნობილი **სხვა და სხვა მომწამვლელ ნივთიერებათა თვისებებს, და არ ეცოდინება, თუ როგორ უნდა დაიცვას მისგან** თავი. ჩვენ აქ მიზნად არ ვისახავთ, რომ ყოველ წითელ არმიელმა უსათუოდ იცოდეს მომწამვლელ ნივთიერებათა გამოყენება მტრის დასამარცხებლად, რადგან ეს შეადგენს სპეციალურ ნაწილების ამოცანებს, მაგრამ აირის ხმარების საფუძვლებს მაინც უნდა იყვნენ გაცნობილნი წითელ არმიელები.

„კრასნი ვოინი“ № 142.

პუგაჩოვი.

(დასასრულ შემდეგ №-ში)




## კავშირი გაიგა.

ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედი ხშირად აწყობს საუბრებს როგორც ადგილობრივ კომუჯრედის წევრთებან ისე გლეხობაში.

20 ივნისს № ბანაკთან მყოფ სოფლის კომუჯრედის წევრებიც გვეწვიენ.

მეტად სასიამოვნოდ დაგვირჩა ეს სტუმრობა. გაიმართა საუბარი.

გავარკვიეთ მათთვის გაუგებარი საკითხები და უფრო დაუახლოვდით ერთმანეთს. ჩვენთვის საინტერესო იყო თუ როგორ გვიყურებს ადგილობრივი გლეხობა და როგორ მოსწონთ ჩვენი საქმიანობა მათში.

გამოირკვა, რომ გლეხები ძალიან კარგი თვალით გვიცქერიან თურმე და დიდი გავლენითაც ვსარგებლობთ მათში.

განსაკუთრებით სასიამოვნო შეიქნა ჩვენი მისვლა ადგილობრივ პარტიულ ამხანაგებისათვის. სოფელში უფრო ჩამორჩენილი არიან საზოგადოებრივ ცხოვრებას და თავის დროზე ვერ იგებენ თუ რა ხდება. ჩვენმა მისვლამ საგრძნობლად გამოაკეთა მდგომარეობა.

მათთან საუბარში ჩვენ გავიგეთ რომ მათ თეატრიც ჰქონიათ, მაგრამ ერთობ მცირე.

ჩვენმა განცხადებამ, რომ შაბათობას მოვაწყობდით და კედლის გახსნით გადიდდებოდა დარბაზი დიდი სიხარული გამოიწვია ამხანაგებში. განსაკუთრებით სიამოვნებით შეხვდენ ჩვენს განზრახვას, რომ გავმართავდით წარმოდგენებს.

იქვე საუბარში ერთხმად იქნა აღიარებული 26 თვის მოწვეული ყოფილიყო გაერთიანებულ კომუჯრედთა კრება.

ჩვენმა კომუჯრედმა ერთხმად დაადგინა აიღოს შეფობა ხსენებულ კომუჯრედზე.

საუბარი დათავდა მეგობრული გამომშვიდობებით.

პარტკორი **ჭელიძე.**

## წითელი არმია და სოფელი.

22 ივნისს, № სოფელში ადგილობრივ ძალთა და საბანაკოდ ჩამოსული ქ. მ. დ. პირველ საკავშირო ასეულის პოლიტ-ხელის, ამხ. მაჩიტაძის მიერ იქნა მოწვეული, ადგილობრივ გლეხების და პირველ საკავშირო ასეულის წითელ არმიელთა შეერთებული კრება.

კრება, რომელსაც დაესწრო 100 სოფლის მუშა და 60-მდე წითელ არმიელი. გახსნა პოლიტ-ხელმა ამხ. მაჩიტაძემ. ის მიესალმა დამსწრეებს და უსურვა ნაყოფიერი მუშაობა წითელ არმიელებსა და ადგილობრივ მუშა გლეხებს კულტურულ და პოლიტიკურ განათლების ფრონტზე. კრებამ თავმჯდომარედ აირჩია საკავშირო ასეულის უფროსის თანაშემწე ამხ. მ. ცხადაძე.

**საკუთარი მოღვაწეობის ანგარიშებით ერთმანეთის წინაშე.**

კრებაზე მრავალი საყურადღებო საკითხები იქნა გარჩეული. აქ წითელ არმიელები და გლეხები გამოვიდენ ერთმანეთის წინაშე და გადმოშალეს თავისი ნამოღვაწარი. მეტის მეტი ყურადღებით და ურთიერთისადმი თანაგრძნობით ირჩეოდა ყველა საკითხები. საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთა წითელ არმიელმა მონიავამ. მოხსენება ინფორმაციული ხასიათის იყო მაგრამ საკმაოდ დალაგებული, რამაც დიდი კმაყოფილება გამოიწვია დამსწრეებში. ორატორი ტაშის ცემით დააჯილდოვა კრებამ.

წითელ-არმიის წარმოშობისა და მისისი დანიშნულების შესახებ მოხსენება გააკეთა პოლიტ-ხელმა მაჩიტაძემ, მან გააცნო კრებას მუშურ გლეხური ხელის უფლების დროს, 1918 წელში წითელ-არმიის წარმოშობა და მისი მიზნები. დაახასიათა ძველი და ახალი ყაზარმა, ილაპარაკა წითელ-არმიელებში სამხედრო მეცადინეობასთან პარალელურად პოლიტიკური და კულტურული მუშაობის შესახებ და ბოლოს უსურვა გამარჯვება წითელ-არმიის ბელადს ამხ. ტროცკის.

**გლეხკომების მუშაობა.**

ადგილობრივ მთავრობის წარმომადგენლებმა გააკეთეს მოხსენება გლეხკომების მუშაობის შესახებ, შეერთებულმა კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო გლეხკომთა მუშაობა და უსურვა მათ მომავალში, უფრო ენერგიული მუშაობა.

ადგილობრივი საბჭოს თავმჯდომარე შეეხო კულტშეფობას და განაცხადა რომ ადგილობრივად არ მოიპოვება საკმაო ძალები კულტურული მუშაობის საწარმოებლადო. მან სთხოვა წითელ არმიელებს აეყვანათ თავის კულტ-შეფობს ქვეშ სამი სოფელი რაზედაც წითელ არმიელებმა თანხმობა გამოუცხადეს.

ბოლოს გლეხებმა შემოიტანეს ერთი საკითხი, რომელიც შეეხებოდა ქარხანაში მათ მიერ დამზადებულ ხეების შეტანას. საბჭოს თავ-რის განცხადებით გამოირკვა რომ, ბორჯომის რაიალმასკომის წინადადებით გლეხებს განსაკუთრებულ ბაჟს ახდევინებენ, და განსაზღვრულ იაფ ფასებში ღებულობენ გლეხებისაგან დამზადებულ ხეებს.

გლეხები უარს აცხადებენ ასეთ ფასებზე, რადგანაც ხეების ფასი არ დაფარავს თვით შრომას. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღეს წითელ-არმიელებმაც ერთხმათ დაადგინეს აირჩიონ სამი კაცისაგან შემდგარი კომისია ბორჯომის რაი-ალმასკომთან მოსალაპარაკებლად. კომისიაში შედის ორი სოფლის გლეხებიდან და ერთი წითელ-არმიელი.

**სერმონია.**

## მეხუთე ლეგიონის ცხოვრებიდან.

(ყოფილი მესამე)

ჩვენს ლეგიონში დაარსდა სემინარი უფ.-პოლიტშემადგენლობისათვის, სადაც პოლიტ მეცადინეობასთან ერთად სწარმოებს კლასიკური გაკვეთილების მიცემა. ხელმძღვანელობენ სამხკომი ამხ. ნ. ბარამიძე და სკოლის გამგე ნ. მესხი.

17 ივნისიდან დაიწყო უფ პოლიტ-შემადგენლობის მეცადინეობა არითმეტიკაში. მეცადინეობას ხელმძღვანელობს დამსახურებული მასწავლებელი ლაზარე ხმალაძე. სანამ პირდაპირ არითმეტიკის გაკვეთილებზე გადავიდოდა ლ. ხმალაძემ 17 და 18 ივნისს წაიკითხა მოხსენება „არითმეტიკის ისტორიის შესახებ“, მოხსენება მეტად საყურადღებო იყო და დიდი ინტერესი გამოიწვია უფ-პოლიტ შემადგენლობაში.

ხმალაძის მოხსენებას მართალია აკლდა სათანადო ისტორიულ საბუთებზე დაყრდნობა და მეცნიერული თვალსაზრისით გაშუქება, მაგრამ ის მაინც დაუფასებელი იყო.

მომხსენებელი არაბულ ციფრების გამოგონებას აკუთვნებს ინდუსებს და მისი აზრით ინდუსებიდან გადმოიღეს არაბებმაო. მხოლოდ მისი გავრცელება კი არბებს ეკუთვნისო.

მომხსენებელი აგრეთვე შეეხო იმას, თუ როდის შემოიღეს ჩვენში სახმარებლად არაბული ციფრები და თუ როგორი საშვალებით ანგარიშობდა მანამდის ჩვენიერი და სხვა. მოხსენებამ მრავალი შეკითხვები გამოიწვია, რომლებსაც სათანადო პასუხი გაეცა.

დიდი მადლობის მეტი არაფერი დაგვრჩენია ლაზარე ხმალაძისათვის მისი მეტად შინაარსიანი მოხსენებისათვის და იმედი გვაქვს არც შემდეგში მოგვაკლებს ასეთი ხასიათის მოხსენებებს.

სამხკორი: **ს. ყ—შვილი.**

## მოუარეთ ცხენებს.

**(დივიზიის ლაზარეთში)**

„ჩვენი ცხენები კარგათ არიან. თითეულისათვის მოიპოება დაზგა, იატაკი თიხის მიწითაა მოგებული. დაზგებიც თიხისგანაა დამზადებული გამაგრებული ჩლიქების დასარბილებლად“.

ასე სწერენ სხვა ნაწილებიდან. ჩვენთან კი აი როგორი მდგომარეობაა.

სულ გვყავს ექვსი ცხენი, თითქოს საგანგებოთ ამორჩეული. მაგრამ სულ მალე დაძაბუნდებიან თუ ასე გაგრძელდა მათი მოვლა. თავლაში დაგებულია ხის იატაკი, ისიც საშინლად დაჩხარული.

ცხენები სრული თავისუფლებით სარგებლობენ. ჩხუბი, თავლიდან ხშირად მოისმის ცხენების ველური ღრიანცელი და ტორების ცემა.

არის მეთავლეც, მაგრამ ყოველთვის გაჭიმულია ყაზარმაში და სძინავს. ღამით მეთვალყურე და არა ყავთ ცხენებს.

თავლაში საშინელი ჩხუბისა და ერთამნეთის დაკბენის შემდეგ, ცხენები გამოიყრებიან გარედ და დარბიან. ხუთი ღამეა რაც ასეთი სურათი მეორდება,

ბოლოს როგორც იქნა მიაქციეს ყურადღება. დაიწყეს კარების ჭაგრად ჩაკეტვა. მაგრამ უარესი. ცხენები უფრო გაგიჟდენ. მთელი ღამეები საშინელი ღრიანცელია თავლაში. ტორებით გამოგლიჯეს ერთი ფიცრული კედელი.

24 ივნისს ღამით ავადმყოფები გააღვიძა თავლაში ატეხილმა ხმაურმა. რამოდენიმე ცხენები წარეოდენ ერთს და უწყალოდ სცემდენ. ავადმყოფების თავგამეტებულმა ჩარგვამ დაგლეჯას გადაარჩინეს საბრალო ცხენი. სამნეო კომანდის ფანჯრებიდან კი გაისმოდა მნეთა ტკბილი ხვრინვა. შეკარეს გულ-გაღეღილ გაშხლართული ტკბილად ეძინა.

ზევით ღელავდენ ავადმყოფები. დროა მივხედოთ ცხენებს!

**წუნარი.**



## პარტიული ცხოვრება.

საბანაკოდ გასულ ნაწილებში პარტ-მუშაობა უკვე დაიწყო. ოც ივნისს № სოფელში ბანაკად გასულ საკავშირო ასეულის პარტ-ამხანაგების მიერ მოწვეული იყო პარტ-კრება.

კრებას ქონდა პარტ-მაცადინეობა, რის შემდეგ სხვა მოხსენებათა შორის ასეულის პოლიტ-ხელმა ამხ. მაჩიტაძემ გააკეთა მოხსენება წითელ არმიელის კულტურულ მუშაობის სოფლად მოვალეობის შესახებ, რაც გამოიხატება თემში შემავალ სოფლებში მოხსენების და წარმოდგენების გამართვაში. ამ განცხადებას წითელ არმიელები აღტაცებით შეხვდენ და უთუოთ მოკლე ხანში კიდევაც გაატარებენ მას ცხოვრებაში.

**სერმონია.**

## ცხენი

**სასოფლო მეურნეობაში და წითელ ჯარში.**

(გაგრძელება)

ცხენის მოშენების ნანგრევებზე, რომელიც მოახდინა 6 წლის იმპერიალისტურმა ომმა, დაუყონებლივ უნდა აღდგენილ იქნეს ცხენების მოსაშენებელი ახალი ქარხნები (ზავოდების), რომლებმაც უნდა მიაწოდონ საჭირო რიცხვი კარგი ცხენებისა, როგორც სოფლის მეურნეობას, ისე ჩვენს წითელ ლაშქარს.

ცხენის მნიშვნელობა ჩვენი რესპუბლიკისათვის თანამედროვე პირობებში ძალიან დიდია და მისი გამრავლება-მოშენების აუცილებელი საჭიროება აშკარად უნდა ვაღიაროთ. თუ ცხენთა შემადგენლობის რიცხვისა და ღირსებების გამრავლებას ხელი ეხლავე არ შეუწყვეთ, დათესილი არე-მარის სივრცე მომატების მაგიერ კიდევ უფრო მოიკლებს, ტრანსპორტი დაიშლება და შიმშილი და სიცივე კარს მოგვადგება.

ცხენზე, როგორც შეუნაცვლებელ მომუშავე ძალაზე, დიდი ხნიდან არის მიქცეული ყურადღება. რა არ სცადეს, რომ შეეცვალათ ცხენი სხვა პირუტყვით, მაგრამ ყოველგვარმა ცდამ ამაოდ ჩაიარა და პირველი ადგილი მაინც ცხენს დარჩა. ცხენი მიწის მუშისათვის ყველაფერია. მიწის მუშა უცხენოთ თითქმის არაფერია. მიწის მუშას არა აქვს ისეთი სამუშევარი, სადაც მისთვის ცხენი აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენდეს.

მაგრამ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ცხენს ჯარისათვის.

კაცობრიობამ რამდენიც უნდა გამოიგონოს ავტომობილები, ველოსიპედები, ჰაეროპლანები, მატარებლები და სხვა, ცხენი, ცხენოსანი ჯარის და არტილერიის სახით მაინც პირველი, ცოცხალი, გამამხნევებელი და მამოძრავებელი ძალა იქნება ყოველგვარ ომის დროს და იგი გაქრება ამ ასპარეზიდან მხოლოდ მაშინ, როდესაც კაცობრიობის ცხოვრებაში ომს ადგილი აღარ ექნება. სანამ ეს არ მომხდარა, ცხენს ისეთივე უპირველესი და საპატიო მეომრის ადგილი ეკავება ყველა ჯეროვანად მოწყობილ ლაშქარში, როგორიც აქამდის ეკავა და დღესაც უკავია მას.

(დასასრული №-ში)

ვეტ. ექიმი: **ფარეიშვილი.**

## ქარ. დივიზიის სამხედრო ტრიბუნალში.

**ხელაიას საქმე.**

25 ივნისს, ტრიბუნალმა თავმჯდომარის ამხ. გოგიჩაიშვილის, კოლეგიის წევრების გაბუნია და სიმაინგულოვის შემადგენლობით, გაარჩია სტეფანე ხელაიას საქმე.

ბრალათ ედებოდა დეზერტირობა (მუხლი 211) და სახაზინო ქონების გაფლანგვა (მუხლი 213 1 ნაწილი) საქმის ვითარებიდან გამოირკვა შემდეგი; 1923 წლის მაისში ბრალდებული ხელაია გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. ორი თვის შემდეგ ჯარის ნაწილში იგი გახდა ავათ და გაიგზავნა საავათმყოფოში. განკურნებისა და ნაწილში დაბრუნების შემდეგ იგი გაიპარა სახლში და იმალებოდა მიმდინარე წლის მაისამდე. მაისში გამოცხადდა სენაკის სამაზრო კომისარიატში და იქ იგი შეიპყრეს და მისცეს პასუხისგებაში. სახლში გაპარვისას მას თან წაუღია სახაზინო ნივთები და გაუფლანგავს.

ხელაიას მიუსაჯეს: დეზერტირობისათვის ექვსი თვით გამსახლში მოთავსება და ქონების ჩამორთმევა ორასი მანეთის ღირებულების.

სახაზინო ქონების გაფლანგვისათვის ექვსი თვით გამსახლში მოთავსება. შეერთებულ სასჯელთა ზომათ დასტოვეს ექვსი თვე, კონფისკაციის ძალაში დატოვებით.

# ომი და ქიმია

## ლაკრიმატორები

(ცრემლის გამომწვევი აირები)

საერთოდ თვალი მეტად მგრძნობიარე ნაწილია ადამიანის ორგანიზმისა. ბრძოლაში მტრის მიერ ნახმარი ქიმიური საშუალება, თუ იგი იქნება მიმართული მოწინააღმდეგისაკენ, უეჭველად უშუალოდ შეეხება თვალს. ლაკრიმატორების ცრემლის გამომწვევი აირები წარმოადგენენ ისეთ ნივთიერებას, რომელნიც იმ გვარად მოქმედობენ და აღიზიანებდენ თვალს, რომ უნებლიედ იწვევს ცრემლის დენას. ამ გვარი აირები მოედება რა რაიმე სივრცეს, მთელ ამ ადგილში საშინელ და აუტანელ პირობებს ჰქმნიან; ამ სათვის საკმარისია ათასჯერ ნაკლებ ნივთიერების ხმარება, ვიდრე ეს საჭიროა ყველაზედ უძლიერეს და ულმობელ მომაკვდინებელი ნივთიერებისა.

ლაკრიმატორებს (ცრემლის გამომწვევ აირებს) სხვა ნივთიერებას არ ურევენ ჩვეულებრივად, როდესაც მოცემულ ალაგის მტრისაგან გაწმენდა ჰსურთ, ან კიდევ მტერი იმდენათ ჰსურთ მოჰქანცონ, რომ პირბადეები ჩამოაცმევიონ თავზედ. სხვა გარემოებაში მათ ხმარობენ მომაკვდინებელ ნივთიერებასთან ერთად, როცა ჰსურთ მტერი დაუყონებლივ იძულებულ იყოს გაიკეთოს პირბადე და დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდეს ამ პირობაში პირბადის მოუხსნელად.

ომის განმავლობაში ნახმარი იყო შემდეგიუმთავრესი ლაკრიმატორები: ბრომ-აცეტონი, ბრომ-ეტილ-მეტილკეტონი, შრომის ბენზილი, ბრომბენზილ-ციანიდი, ქლორის ფენილკარბილ ამინი.

ქლორ-პიკრინიც იხმარება ლაკრიმატორად, მხოლოდ მას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს როგორც შხამიან აირს.

გერმანელებმა 1917 წლის გაზაფხულს შემოიღეს ახალი საბრძოლო აირი, თუმცა იგი ძალიან შხამიანი არ იყო, მხოლოდ იგი მოქმედებდა როგორც ცრემლის გამომწვევი აირი და იწვევდა გულის რევას. მოკავშირეთა ჯარის რიგებში მრავალი უბედური შემთხვევა იყო აღნიშნული, ვინაიდან ეს აირი იმდენათ აწუხებდა ჯ. კაცებს, რომ იგინი თავიდან იძრობდენ პირბადეს. ეს ახალი აირი იმით განირჩეოდა, რომ მაშინ არსებული პირბადეები ვერ იფარავდენ ამ აირის მოქმედებისაგან. ეს ნივთიერება იყო ქლორ-პიკრინი.

ქლორ-პიკრინი წარმოადგენს უფერო ზეთისმაგვარ სითხეს. იგი არ იხსნება წყალში და სდუღს 112°-ით. იხმარება მხოლოდ ქიმიურ ყუმბარებში დიფოსგენთან ან ფოსგენთან ერთად, ან ქლორის კალასთან. იწვევს ცრემლის დენას, გულის რევას და დაბოლოს სულის შეხუთვას. ერთ მილიონ ნაწილ ჰაერში თუ ქლორ-პიკრინის ორი ნაწილი შედის, უკვე ცრემლის დენას იწვევს.

მის მოქმედების თავიდან ასაცილებლად ხმარობენ განსაკუთრებულად დამზადებულს ნახშირს, რომელიც პირბადეშია მოთავსებული.

თუმცა ქლორ-პიკრინი მეტად ამქროლავი ნივთიერებაა, ისე რომ მას არ შეუძლიან თავის ზევით ჰაერი მოშხამოს, მხოლოდ იგი იმდენად მკვიდრია, რომ ხუთი—ექვსი საათის შემდეგ იგი შესაძლოა მავნებელი იყოს. მშვიდობიან დროს ქლორ-პიკრინს სასოფლო მეურნეობაში მავნებელთა მოსასპობად ხმარობენ.

გ. ბ—შვილი.

# ახალი ამბები.

— **ბონების გაუქმება.** ა. კ. ფულის ნიშნები (ბონები) ხმარებიდან გამოდიან ამა წლის 30 ივნისიდან. ბონების გადახურდავება ნამდვილ ფულზე შეიძლება ერთი თვის განმავლობაში ანუ 31 ივლისამდე.

— **ნიავ-ღვარი ქიათურაში.** 24 ივნისს ღამე ქიათურაში მოვარდა დიდი ნიავ-ღვარი. მდინარეთა კალაპოტები აივსო და წყალმა წალეკა ახლო-მახლო ადგილები.

— **იშვიათი წიგნები საჩუქრად.** სოც. უზრ. კომისარიატს საგამომცემლო საზოგადოებამ „მწიგნობრობა“-მ გადასცა გლეხკომების სამკითხველოებისათვის 25 ცალი წიგნი „ბატონ-ყმობის ფაქტიური მასალები საქართველოში“.

— **ბინებზე ახალი გადასახადები.** ქალ. აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ შეიმუშავა ახალი გადასახადები ზედმეტ ბინების მქონე მცხოვრებთათვის.

— **ტრამვაის ტარიფი.** საერთაშორისო რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა ქალ. აღმასკომის წინაშე, რათა ტრამვაის ტარიფი გადიდებულ იყოს ერთი კაპეიკით, აღნიშნულ საზოგადოების სასარგებლოთ.

— **წყალსადენი მუშათა სახლებში.** ქალაქის წყალსადენის სამმართველომ უკვე გაიყვანა წყალსადენი 80 მუშათა სახლში. უახლოეს ხ ნში გაიყვანენ კიდევ 40 სახლში.

— **ფოსტა-ტელეგრაფის ახალი განყოფილება.** 1-ლი ივლისიდან თათრის მოედანზე იხსნება მეშვიდე ქალაქის ფ.-ტელ. განყოფილება.

— **ქუთაისის საავადმყოფო.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ ქუთაისის საავადმყოფოს შესაკეთებლათ გადასდო 3.242 მან.

— **ინვალიდების შემოწმება.** დამზღვევ კასამ დაადგინა დაარსოს სპეციალური კომისია, რომელიც გამოარკვევს ინვალიდების შრომის უნარიანობას ან უუნარიანობას და ამის და მიხედვით აღმოუჩენს მათ შესაფერისს სამუშაოს.

— **დაზღვეულთა გაგზავნა აგარაკებზე.** დამზღვევი კასის დადგენილებით კურორტებზე გაგზავნიან დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეებს. მიეცემათ ჯამაგირები წინ და წინ.

— **30 ივნისი დასასვენებელი დღეა.** თანახმათ შრომის კომისარიატის დადგენილებისა 30 ივნისი (ორშაბათი) დასასვენებელ დღეთაა გამოცხადებული.

— **შეღავათები კორესპოდენტებს.** გაზეთების კორესპონდენტებისაგან ფ.-ტელეგრაფის უწყება ღებულობს გადასაგზავნათ კორესპონდენციებს შეღავათიან პირობებში, თუ კორესპოდენტები წარადგენენ რედაქციებიდან სათანადო მოწმობებს.

# სამეურნეო განყოფილება.

## სიმინდის პეპლის წინააღმდეგ ბრძოლა.

ამ სასტიკ მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლა არ არის ძნელი. მხოლოდ საჭიროა ხელის შეჩვევა და გამოცდილება. როგორც პეპლის ცხოვრების აღწერის დროს მოვიხსენიეთ მარცვლებს ღრღნის და შიგ იბუდებს ამ პეპლის მატლები. ამიტომ უმთავრესი ყურადღება მატლების დახოცვას უნდა მიაქციოთ. ამ მავნებლის წინააღმდეგ არსებობს ორი საშუალება.

1. **სიმინდის მოწწალვა.** დაფშვნილ სიმინდს რამოდენიმე წუთით ამოვავლებთ ცხელ წყალში. ცხელი წყალი ჰკლავს მარცვალში მყოფ მატლებს და ამით ხელს უშლის მავნებლის გავრცელებას. მოსაწწალავათ უნდა ვიშოვოთ დიდი ქვაბი დავდგათ ცეცხლზე და გავაცხელოთ. მოსაწწალავი სიმინდი კი რაიმე ტომარაში უნდა ჩავყაროთ და ცხელ წყლიან ქვაბში რამოდენიმე წუთით უნდა ჩაუშვათ. როგორც ვხედავთ სიმინდის მოწწალვით წამლობას ძლიერ დიდი დრო და წვალება უნდა.

2. ერთ საუკეთესო საშუალებათ მავნე მატლების მოსასპობად ითვლება ქიმიური საშუალება. არსებობს ძლიერ მაგარი საწამლავი სითხე გოგირდ-ნახშირბადი. მას აქვს ყვითელი ფერი და ძლიერ ადვილად ორთქლდება ჩვეულებრივ ჰაერზე დგომის დროს. მისი ორთქლი ძლიერი საწამლავია და სწორედ იმით სარგებლობენ მავნებლის მოსასპობად.

წამლობის დაწყების წინ ბეღელს უნდა დავგმანოთ ყველა ჭუჭრუტანები ისე რომ შიგ ჰაერი ვერც შედიოდეს და ვერც გამოდიოდეს. ასე დახურულ ბეღელში აქა-იქ ჩამოკიდებ გოგირდ—ნახშირბადიან ჭურჭელს. კარებს კარგათ გამოვხურავთ და აქაც ყველა ხვრელებს დავგმანავთ, ასე ვტოვებთ ორი სამი დღის განმავლობაში. გოგირდ-ნახშირბადი ორთქლდება. მისი ორთქლი ჰაერზე უფრო მძიმეა და ძირს ეშვება. აქ ის მოხვდება დაზიანებულ მარცვლებს და შიგ მყოფ მატლებს ჰკლავს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს საწამლავი პეპლებს და მათ კვერცხებს ვერას ავნებს. ამიტომ მისი ხმარება მაშინ უნდა, როცა მავნებელი მატლობს. ამას გარდა გოგირდ-ნახშირბადი ძლიერი საწამლავია. და მას დიდი მოფრთხილება უნდა: არ უნდა შეისუნთქოთ.

ის აგრეთვე იტაცებს ცეცხლს და აფეთქდება და ამიტომ მისი ხმარების დროს ახლოს ცეცხლის არ უნდა იქონიოთ. ამ საწამლავის ხმარებას დიდი გამოცდილება უნდა. ამიტომ, სანამ შეეჩვევოდეთ უეჭველათ ადგილობრივ აგრონომს უნდა მიმართოთ. ის გასწავლით.

მეურნე.

# მეცნიერება და ცხოვრება

## გულის გაგანიერებაც რჩება ოპერაციით.

აქამდე ერთობ ფრთხილად ეპყრობოდენ ადამიანის გულს. გულის ოპერაციის გაკეთებას კი ვერავინ ბედავდა. ერთობ სათუთი ორგანოა გული და მისდამი მიდგომაც ძნელი საქმე იყო.

ამ ჟამად ეს სიძნელეც დაძლეულ იქნა. ამერიკაში იმდენად საშიშროებას აღარ წარმოადგენს გულის ავადმყოფობა—გულის სიგანიერე. იქ უკვე დაიწყეს გულის ოპერაცია. ოპერაციის დროს გახსნიან მკერდს, ისე რომ სავსებით მოსჩანს გატიტვლებული გული. შემდეგ შიგ შეჰყავთ ერთგვარი ქირურგიული დანა რომლის საშვალებითაც სჭრიან გულის პოჭოჭიკზე გაზრდილ ხორცმეტს.

## როგორ ხდებოდა განქორწინება ეგვიპტეში ფარაონების დროს.

ეგვიპტე ძველი ქვეყანაა. მისი ძველი კულტურული ნაშთები დღესაც განცვიფრებას იწვევს განათლებულ კაცობრიობაში. მეტად საინტერესოა ერთი უძველესი საბუთი რომელიც აღმოჩენილი იქნა ამ ჟამად ეგვიპტეში ამერიკული მეცნიერის მიერ ერთ-ერთი საფლავის გათხრის დროს.

ეს საბუთი წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ თუ როგორი წესით ხდებოდა განქორწინება იმ დროს ეგვიპტეში. მეცნიერ ფიშერმა იპოვა ორი საიმედოთ ჩაკეტილი ვაზები, რომლებშიდაც აღმოჩნდა 50 ფურცელი პაპირუსი წარწერით. ცოლ-ქმარი ამენხოტენები ვერ ყოფილან ერთანეთთან კარგ დამოკიდებულებაში და მიუმართავ ნატარიუს ტუტესათვის განექორწინებია ისინი. ნატარიუსს ამის გამო დაუწერია შემდეგი საბუთი:

„ტიუბის წელში, ფარაონ ფარაონისძის პტოლომეიის მეფობის დროს და სხვა... ამენხურნმა განუცხადა თავის ცოლს ტახანის: „მე გეუბნები შენ მონახე შენთვის მეორე ქმარი. მე არ შემიძლია გიყურო შენ ყოველ წუთს სადაც უნდა წავიდე. დღეიდან მე არ გიყენებ შენ არავითარ მოთხოვნილებებს, როგორც ქმარი. დასტოვე ჩემი სახლი უხმოთ და დაუყონებლივ“. მეორე გვერდზე ამ საბუთს ხელს აწერს ოთხი მოწამე.

შეიხი.

ყოველდღიური სამხედრო გაზეთი

„კრასნაია ზვეზდა“-ზე

სამხედრო ნაწილები და ორგანიზაციები, რომლებიც გამოიწერენ ერთი მისამართით 28 ც. გაზეთს სამი თვით (ან 15 ც. 6 თვით, 10 ც. 3 თვით) მიეცემათ უფასო დამატება: მხატვრული კრებული—ალბომი „დიადი საფლავთან“ მიძღვნილი ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი.

ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველ რიცხვებში.

გაზეთის ფასი:

1 თვით—1 მანეთი, 3 თვით—2 მანეთი 75 კაპ., 6 თვით—5 მან. 25 კაპ., 9 თვით—7 მან. 75 კაპ., ერთი წლით—10 მ.

გამოვიდა ქართულ სამხედრო სარედაქციო-საგამომცემლო კოლეგიის მიერ გამოცემული კრებული

№ 1.

„წითელი გუშაგი“

ფასი ერთი მანეთი.

ყიდვა და გამოწერა კრებულისა შეიძლება შემდეგი მისამართით: **კეცხოველის ქუჩა** (ყოფ. ლორის-მელიქოვისა), **სამხედრო კომისარიატის სტამბის შენობა, სარედაქციო-საგამომცემლო კოლეგიის ბინაზედ.**

## განცხადება

ქართულ მსროლელ დივიზიის ცენტრალური კლუბი ამით აცხადებს, ყველა წითელ-არმიელების საყურადღებოთ, რომ საზაფხულო საგარნიზონო კლუბში, რომელიც მოთავსებულია პლეხანოვის ქუჩაზე ქალაქის მთავარ საავადმყოფოს პირდაპირ **მათ აქვთ უფლება უფასოთ შესვლისა.**

ნ. დ. . ც. ტირაჟი 1000 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე.